

# ინტერნეტ ბანკინგის პოზიციონირება ქართულ ბაზარზე

სოფიკო ბარამიძე  
არჩილ უნდილაშვილი

ჯგუფი 2

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ენუქიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## *აბსტრაქტი*

ნაშრომში განხილული თემა არის „ინტერნეტ ბანკის პოზიციონირება ქართულ ბაზარზე. დღეს დღეობით საქართველოში საბანკო სექტორი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. საბანკო სექტორზე დამოკიდებულია ქართული ფულადი სახსრების დიდი ნაწილი, შესაბამისად საქართველოში არსებული ბანკების წარმატება თუ წარუმატებლობა პირსდაპირ აისახება ქართულ ეკონომიკურ სივრცეში. თემის აქტუალურობის წარმოსაჩენად ნაშრომის რეკომენდაციების პუნქტში განმარტებულია თუ რა შედეგების მოტანა შეუძლია ინტერნეტ ბანკის პოპულარიზაციას და შემდგომ მის უფრო მეტად გავრცელებას ბანკის მომხარებლებში. თემის დასაწყისში მიმოხილულია ინტერნეტ ბანკის არსი. რა წარმოადგენს ინტერნეტ ბანკის შესაძლებლობებს, წარმოდგენილია არსებული სერვისის ყველა დღემდე არსებული მახასიათებელი და მისი ქართულ ბაზარზე ფუნქციონირების ეტაპები. ასევე წარმოდგენილია ინტერნეტ ბანკის ის მახასიათებლები, რომლებიც აქვს დღეს დღეობით ქართულ ბაზარზე არსებული ბანკებს და ნაჩვენებია მათი მოკლე მიმოხილვა. შემდეგ თავში ნაჩვენებია არის ინტერნეტ ბანკის ფუნქციონირების სფეროები. მისი მახასიათებლების მრავალფეროვნება და ქტუალობა. მგ: ტრანსაქციული აქტივობები და არატრანსაქციული აქტვობები, მათი მახასიათებლები და ნიშანთვისებები. ინტერნეტ ბანკს, ისევე როგორც ნებისმიერი სახის მოპმსახურებს გააჩნია თავს უპირატესობები და ნაკლოვანებები. შემდეგ თავში კი მიმოხილულია მისი ისეთი სახის უპირატესობები, რომლებიც აქტუალურია დღევანდელი სიტუაციისთვის ქართულ საბანკო ბაზარზე, ასევე წარმოჩენილია ინტერნეტ ბანკის ნაკლოვანი მხარეები. თემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი არის ის, რომ არსებული სერვისი შედარებულია საბანკო ფილიალის მომსახურების სერვისთან. ყოველი უპირატესი თუ ნაკლოვანი მხარე არის შედარებითი საბანკო ფილიალის მომსახურებასთან. რა თქმა უნდა არსებული შედარებები მოყვანილია დღეს დღეობით წარმოატებული და აქტუალური ინტერნეტ წაყაროებიდან.

შემდეგ თავში საუბარია ინტერნეტ ბანკის ისტორიაზე. მოკლედია მიმოხილული მისი პირველად გამოჩენისა და ბაზარზე დამკვიდრების ისტორია. ნაჩვენებია მისი განვითარების ეტაპები, რომელიც დროის სვლასთანაა თანმიმდევრული.

ნაშრომის მეორე თავი მთლიანად ეთმობა კვლევებს ინტერნეტ ბანკის შესახებ. მეორე თავის დასაწყისში მიმოხილულია კვლევის მიზანი და გეგმა, ასევე როგორ წარმომართა მისი განხორციელება. ისეთი თემაში, როგორცაა ინტერნეტ ბანკის პოზიციონირება ქართულ ბაზარზე დიდი წვილი უნდა ეკავოს კვლევებს, რადგანაც სწორედ კონკრეტულ რეგიონსა თუ ბაზარზე ჩატარებული კვლევების მეშვეობითაა შესაძლებელი ამ სერვისის სამომავლოდ გავრცელების და პოპულარიზაციისთვის კარგი გეგმის შემუშავება. კვლევები მოიცავს როგორც პირველად ისე მეორად წყაროებს. თავდაპირველად წასრმოდგენილია მეორად წყაროებზე დაყრდნობით ჩატარებულია მცირე კვლევა, რომელიც მოყვანილი 2 საფინანსო ორგანიზაციის მაგალითზე. ხოლო კვლევების შემდეგ ეტაპზე ნაჩვენებია პირველადი წყაროების მეშვეობით შედგენილი კვლევა, რომელიც ჩატარდა თბილისში 4 სხვადასხვა უბანში, ადამიანთა 3 ასაკობრივ კატეგორიში. ამ უკანასკნელი კვლევისთვის წინასწარ შედგენილ იქნა სპეციალური კითხვარი, რომლის მიხედვითაც ჩატარდა კვლევა. მოხდა მოსახლეობის გამოკითხვა .

კვლევის შემდგომი ეტაპი მოიცავს ვლევის მიმოხილვას, სადაც თითოეულ კითხვაზე ნაჩვენებია სტატისტიკა არსებული კვლევიდან.

ნაშრომის შემდეგ ეტაპზე წარმოდგენილია არსებული კვლევების ანალიზი და მათი მოკლე მიმოხილვა, რომელიც სრულდება რეკომენდაციით. რეკომენდაციები არსებულ თემაზე ძირითადად შემუშავებულია არსებულ კვლევასა და იმ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც ნაშრმშია თავდაპირველად წარმოდგენილი.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია ბიბლიოგრაფია იმ მასალისა საიდანაც მოხდა არსებული თემის შედგენა.